საქართველოს კომუნისტურ-უფლებადამცველთა სარევოლუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად დირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღია დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი: ტფილ. ფასი 500ს მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

№ 272

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი აგვისტოს 15 1922 წ.

საქართველოს განახლება

2

ჩემმა პირველმა წერილმა „საქართველოს განახლების“ შესახებ უკვე გამოიწვია ერთგვარი ნაყოფი. ჯერ საკითხიც არ დაგვისვამს სათანადოდ, არც ერთი ობიექტიური მასალა არ გამოგვიქვეყნებია ჩვენი დებულებათა საყოველთაოდ მემარჯვენეების სისინი უკვე მოგვესმა:—რისი განახლება, რისი გაზრდა, საქართველო დასამარდა და დაიღუპო.

— სადაა ჩვენი ენა, ჩვენი სკოლა, ჩვენი ადათი, ჩვენი ხელმწიფება და სხვა და სხვა..

ყოველ გაუგებრობის თავიდან აცილებლად ჩვენ რამდენიმე მომენტებს ისევე უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ „საქართველოს განახლების“ პრობლემა კიდევ უკეთ იქმნეს გაშუქებული და წარმოდგენილი.

რამდენადმე პირველ წერილში გავიგეთ ის აზრი, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს განახლებას საფუძველი ჩაუყარა უფრო ობიექტიურის მხრივ, ვიდრე სუბიექტიურის მხრივ. ჩვენს გაზეთს ხშირად უხდება საბჭოთა ხელისუფლების სუბიექტიურ მომენტებზე მრძოლა და ჩვენ დარმად ვართ დარწმუნებული—ჩვენი ეს ბრძოლა არ ჩაივლის და არც მიდის უგზო-უკვლოდ-უშედეგოდ.

ზოვინისტების მთელი კამპანიის უმთავრესი სარბიელი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ეროვნული ცხოვრების სუბიექტიური მომენტები გახლავსთ და ამიტომვეა მათ კამპანიას საოცარი ფუსფურობის დადი აზის. მემარჯვენეების ბრძოლას და იდეას არ აქვს ჩვენი ცხოვრების დრმა საფუძველი, ისტორიული სიმართლე და ამიტომვეა მათ კამპანიას არ მისდევს და არც გაყვება არც ერთი გლეხი, არც ერთი მუშა.

მიუხედავად ამისა ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია იმ მთავარ ჩარჩოების აღსახვა, რომელშიაც უნდა მოიმწყვდეს ზოგიერთი ელემენტი ქართული სუბიექტიური კულტურისა.

ამ ბოლო დროს ადგილობრივს პრესაში მხურვალე კამათი სწარმოებდა ენის საკითხის არგელიე, რაიცა ერთი უდიდესი ხელი-ხელ საგოგმანები ფაქტია მემარჯვენეებისათვის. ჩვენ არასოდეს არ გვწამდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება გამოიწვევდა ქართული ენის მოსპობას და განადგურებას. მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ქართული ენა—კერძოდ, ხოლო ყოველ ერის ენა—საზოგადოდ, ერთგვარ მფარველობითი სისტემას და განსაკუთრებულ მზრუნველობას არ საჭიროებდეს სახელმწიფოს მხრივ.

უმთავრესი ნაკლი, რომელიც ნიშანდობლივ თვისებად გადაეტაცა საბჭოთა წყობილების ზოგიერთ მესვეურს—გახლავსთ ენის პრობლემის გადარტივება, მისი სადად დასახვა და ამგვარად მისდამი ნიღილისტური დამოკიდებულება თვით საბჭოთა სისტემა უმარტივესი სისტემაა დღემდე არსებულ სახელმწიფოებრივ ფორმებში და აქედან გამომდინარეობს და გამოჰყავთ ყოველ საკითხში და ენის საკითხში სიმარტივის და სიადვილის აზრები.

— ილაპარაკეთ როგორც გსურთ, როგორც გეადვილებათ, როგორც გესაჭიროებათ!

— პრინციპი უეკველად მართალია, თუმცა შეუძლებელია მისი დაცვა და სისრულეში მოყვანა. ჩვენ ყოველად შეუძლებლად მიგვაჩნია ასეთი ინდივიდუალისტური და ეთიური პრინციპი მიუყენოთ ენის საკითხს და ინტელიგენტურის სიადვილით განსჯვრიტოთ ენის ხმარების საკითხი.

საკვირველებაა, რომ კომუნისტები, რომელთაც დიდ სიყვარულს ვერ დავსწამებთ ინტელიგენციისადმი, ენის საკითხში ისინი იქცევიან როგორც პირწმინდა ინტელიგენტები და მოგეხსენებათ, რომ საზოგადოებაში არ არის არც ერთი ჯგუფი ისე ოპორტუნისტი ენის საკითხში, როგორც ინტელიგენცია. ყოველმა ინტელიგენტმა ერთი რომელიმე უცხო ენა უეკველად იცის და იგი გინდა არ გინდა უეკველად უცხო ენას მიმართავს—თუნდაც იგი მისთვის ნაკლებად ადვილის იყო. ჩვენი ნაციონალისტური ინტელიგენცია, რომელიც გზის ყოველ მიხვეულში სამშობლო ენის დიდებაზე ლაპარაკობს—ნამდვილად მთელი დღე-ღამე უცხო ენით ელურტუნობს და ამით ავრცელებს უცხო ძალას და სპრის იმ ტოტს, რომელზედაც ზის.

ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია ენის საკითხი „ინტელიგენტურის“ თვალსაზრისით გავზომოთ. მე, შენ, თქვენ, ან რომელიმე ჯგუფს როგორ მოუხდება—ასე არა სდგას ენის საკითხი. ენას ინტელიგენცია კი არ ასაზრდოებს, პირიქით, მასიური ინტელიგენცია ენას მხოლოდ და მხოლოდ რყვნის. ენის ფუძე მშრომელი ხალხია, მასსაა, ერია, რომლის მიხედვით უნდა მოიქცეს დიდი, პატარა, ინტელიგენტი თუ არა ინტელიგენტი. მთელ სახელმწიფოში უეკველად ბუნებრივი ჰეგემონია უნდა ქონდეს მოპოვებული იმ ენას, რომელზედაც ხალხის დიდი უმრავლესობა ლაპარაკობს ტ. ყველა სხვა ენა, ყველა სხვა ჯგუფი ეპყრობოდეს ხალხის ენას, როგორც სახელმწიფოში უმთავრეს ენას რომელის კილოკავი, ხმა, ბგერა ყველამ იცოდეს.

ბრის ტფილისში დაწესებულება, სადაც ქართული ენა არ ეხმარება იმ უბრალო მოსაზრების ძალით, რომ იგი დაწესებულება სრულიად თავისთვის ცხოვრობს, თავისი ორგანოები აქვს და თავის კონსტრუქციით არ არის დაკავშირებული ქართული ენის ორგანოებთან. ჩვენ ვგულისხმობთ ჯერის ზოგიერთ ნაწილს. კომუნისტები სპრიან ასეთ შემთხვევებში ენის საკითხს ინტელიგენტურად, ოპორტუნისტულად, სუბიექტიური მეთოდით: როგორც უფრო ადვილი და გასაგებია!—მორჩა.-გათავდა. ნამდვილად კი ეს პრინციპი არხიბურჟუაზიული პრინციპია, რომლითაც მუშაობდა ჩვენში ინგლისელი, ბერმანელი, ფრანგი და იტალიელი ნაწილები. ენის საკითხში ჩემი და შენის სიადვილის თვალსაზრისი კი არ უნდა არსებობდეს, არამედ შეიძლება ჩემთვის და შენისათვის რთულიც იყოს, მაგრამ თუ კი იგი ენა მთელი ქვეყნის, მთელი ხალხის ენაა.

ყოველი ძალა, რომელიც საქართველოში უნდა დაემორჩილოს ერთ უმთავრეს უნივერსალ პრინციპს:—მთელი მისი მოქმედება უნდა დაექვემდებაროს ქართველ ხალხის ბუნებრივ ტენდენციებს. რუსულში, გერმანულში, ფრანგულში, ყველა დაწესებულებაში, უეკველად სავალდებულო და საპატიო ადგილი უნდა ეჭიროს ქართულ ენას, როგორც ქვეყნის ენას, როგორც ხალხის ენას. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ენის საკითხი უზენაესი და უფაქიზესი საკითხია და ვინც ხალხის ენას პატივსა სცემს არა კალმის ენის საშუალებით, ან ლიტონი სიტყვებით, არამედ ფაქტიურად—იგი პირველი მეგობარია ხალხისა, იგი პირველად იმსახურებს ხალხის ნდობას და სიყვარულს.

შეუძლებელია და ბარბაროსობაა საქართველოში იყო და ქართულს პატივი არა სცე, დაწესებულებაში არ მიიღო, ქართულ ენას იგნორაცია უყო. არსებითად ეს არის პირველი შელახვა იმ უდიდესი პრინციპის, რომელსაც ხალხის ენის თავისუფლება ეწოდება და რომელიც ყოველ იმ სოციალისტურ სისტემების ზოგადი საფუძველია, რომელთაც მიზნად აქვთ საზოგადოდ თავგახუფლების პრინციპს ემსახუროს. ასეთ ამბებს ამ ჟამად თვით ბურჟუაზიულ სახელმწიფოებშიაც ვეღარ შეხვდებათ, სადაც ერის უფლებასთან ენის უფლებაც და პატივიც მჭიდროთ არის გადაბლართული. ავსტრიის პარლამენტში ყველაზე გასაგები ენა გერმანული ენაა, მაგრამ თქვენ იქ გესმით ენა არა მარტო გერმანელის, არამედ ჩეხის, პოლონელის, რუსინის, სერბიის, რუმინელის, იტალიელის და სხ. ასეთია მდგომარეობა თითქმის ყველა მრავალ ენიან სახელმწიფოში.

ჩვენს ქვეყანაში უეკველად უნდა გატარდეს შემდეგი მთავარი დებულება: საბჭოთა ძალა-უფლება და მისი ყოველი ორგანო თავისთვის კი არ არსებობს საგზიო ან საევროპო პოლიტიკისათვის, არამედ პირველყოვლისა ადგილობრივ პოლიტიკისთვის, საქართველოში ქართული საქმისათვის და ყოველივე თავისი ორგანო ორგანიულად დაუკავშირეს ქართულს კულტურას.

ვინც საკუთარი ენით ცხოვრობს ჩვენში და კავშირი არ აქვს ქართულს ენასთან, ის არსებობს ამავე დროს საკუთარი ინტერესებისათვის, საკუთარი საქმისათვის. თუ ეს დებულება მხოლოდ ზოგადი თეორიული მნიშვნელობის არის და აქედანაც შეიძლება იყოს გამონაკლისი შემთხვევები, მაშინ ჩვენ მოვიფიქროთ, რომ რაკი ყოველი გამონაკლისი რთულია თავისთავად და ძნელი გასაგები ყველასათვის, ხოლო საბჭოთა სისტემა გასაგები უნდა იყოს ყველასათვის, —ამიტომ მოვითხოვოთ და განვახორციელოთ შემდეგი: ყველგან გასავალი და პატივი ქონდეს ქართულ ენას, რაიცა შეჰქმნის ჩვენში სრულიად ბუნებრივ პირობებს და უდიდეს სამსახურს გაგვიწევს შავრაზმულ ძალების ალაგმვაში.

თედო ლლონტი.

პროფესორი სიმონ ავალიანი

დადი მოღვაწე და დაკნინებული საზოგადოება.

კვირას, 13 აგვისტოს, სამუდამოთ გამოვეთხოვეთ და ციურ სამყარეს მივაბარეთ სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორი სიმონ ავალიანი.

ფიზიკური და ინტელექტუალური სიძლიერით აღსავსე ადამიანი სამარადისოთ მოვიშორეთ და ახალგაზრდა ვეტერანი ინტელიგენტი ლექტორის აჩრდილი დარჩა მხოლოდ ჩვენ ხსოვნაში.

უმადურმა სიკვდილმა უდროოდ ბოლო მოუღო ახალგაზრდა მეცნიერის სიცოცხლეს.

ამ სამწუხარო მოვლენამ უდიდესი დანაკლისი მიაყენა ჩვენს ახლად ფეხადგმულ უნივერსიტეტს.

ნათლად რომ გავითვალისწინოთ სიმონ ავალიანის მნიშვნელობა, ჩვენ უნდა მოვიგონოთ მისი მეცნიერული ზრომები.

პროფ. სიმ. ავალიანის კალამს ეკუთვნის 37 წიგნი სხვა და სხვა ეკონომიურ საკითხების შესახებ და მათ შორის კაპიტალური ზრომა ოთხ ტომად, ამიერკავკასიის გლეხთა საკითხის შესახებ, რომელიც ერთად ერთი მეცნიერული ნაშრომია ამ საკითხში.

პროფ. სიმონ ავალიანი იყო არა მარტო ნიჭიერი აკადემიკოსი და მეცნიერების მსახური, არამედ იგი იყო დიდი ეროვნული მოღვაწეც.

მის 37 ზრომისაგან 20 ზრომა თავს დასტრიალებს საქართველოს ეკონომიკის საკითხებს. როგორ გგონიათ ეს პატარა საქმე იყო რუსული იმპერიალიზმის ბატონობის დროს? განა არ შეეძლო სიმონ ავალიანს რუსეთის ეკონომიური ცხოვრების კვლევა-ძიება, რომლისთვის იგი დიდ ჯილდოს, დიდ ჰონორარს, დიდ სახელსა და დიდ პატივისცემას მიიღებდა? რისთვის აგონდება ამ ახალგაზრდათა პროფესორს იმ ქვეყნის ეკონომიკის შესწავლა და მის შესახებ 500 გვერდიანი ტომების წერა, რომლის ენას ძალლის ენას უწოდებდენ, რომლის სახელს მიწასთან ასწორებდენ, რომლის ყოფა-ცხოვრებას ბინძური ფეხით სავლავდენ? რისთვის დასტრიალებდა სიმონ ავალიანი თავს საქართველოს სპეციალურ საკითხების დამუშავებას? ამისთვის იგი ცარიზმისაგან ჯილდოს მიიღებდა? მეტად გასაღდებოდა მისი შრომა? მეტი მკითხველი ეყოლებოდა მას? მეტი თანამგრძნობი და მოსარჩლე გაუჩნდებოდა? რა თქმა უნდა არა.

მაშინ ვინ იყო პროფ. სიმონ ავალიანი? ის იყო ჭეშმარიტი ქართველი მეცნიერი, ჭეშმარიტი მოამაგე და მსახური თავისი მშრომელი ხალხის.

მოვიგონოთ სიმონ ავალიანის მუშაობა ქართულ უნივერსიტეტში. რას კითხულობდა იგი ჩვენი უნივერსიტეტის აუდიტორიებში? პოლიტიკურ ეკონომიას? არაა ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორიას? არა. საფინანსო მეცნიერებას? არა. სტატისტიკას? არა. ბუქხალტერიას? არა. მაშ რას? გამოკვლევებს ხალხთველოს ეკონომიური ცხოვრების შესახებ. ასეთი იყო, მიწის მფლობელობა საქართველოში, მუშა-ხელი საქართველოში, კოოპერაცია, სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია, სამთო-მადნო მრეწველობა საქართველოში და სხ.

ნუ თუ მას არ შეეძლო პოლიტიკურ ეკონომიის პრობლემათა გარჩევა და ეკონომიურ მოძღვრებისა და აზროვნების განვითარების შესახებ ლექციების კითხვა? რა თქმა უნდა შეეძლო და ამას გაცილებით ნაკლები შრომა, ნაკლები დრო და ნაკლები ენერგია უნდოდა, ვიდრე საქართველოს ეკონომიკის შესწავლას და არქივებში მასალების ძებნას. მაგრამ იგი კარგათ გრძნობდა, რომ მოვალე იყო საქართველოს ხელუხლებელ ეკონომიური ურთიერთობის შესწავლა დაესახა მიზნათ. ამას მას ავალებდა ჩვენი ქვეყნის ინტერესი, ჩვენი სამშობლოს კულტურული და ეკონომიური წარმატების მიზანი.

არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება. პროფ. სიმ. ავალიანი პრაქტიკოსი მოღვაწეც იყო. მენშევიკების დროს იგი ფინანსთა მინისტრის ამხანაგის პოსტზე მუშაობდა. საბჭოთა ხელისუფლების დროს საგარეო ვაჭრობის კომისარიატში ეწეოდა მუშაობას.

იგი არ იყო ვიწრო პოლიტიკური და ჯგუფური ეგოიზმის მატარებელი. როგორც მეცნიერი იგი ყოველთვის იხმარდა კალამს და სწერდა, როგორც პრაქტიკული მუშაკი იგი ყოველთვის, ყოველ წყობილების დროს, მუშაობდა ეკონომიური ცხოვრების სფეროში. მენშევიკების დროს იგი „შავი მუშა“ იყო, როგორც თითონ განაცხადა ერთხელ დაბეჭდილ კრებაში, საბჭოთა წყობილების დროსაც იმავე „შავ მუშად“ დარჩა და აკეთებდა იმ საქმეს, რაც მას მიაჩნდა სასარგებლად ქართველი ხალხისათვის.

რა მიიღო მან მატერიალურად? ლორის-მელიქოვის ქუჩის ნაგვით ავსილ შესახვევში ორი კამერის მზგავსი ოთახი, საკუთარი ბარგის გაყიდვა არსებობისათვის.

არ შეეძლო სიმონ ავალიანს პოლიტიკური კარიერის შექმნა? არ შეეძლო მაღალი პოლიტიკური პოსტის დაჭერა?. არ შეეძლო პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელად გახდომა? რა თქმა უნდა შეეძლო. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ სურვილი და მეტი არაფერი. მაგრამ სიმონ ავალიანი იყო ჭეშმარიტი მეცნიერი და იგი მუშაობდა ყველგან, როგორც მეცნიერი და როგორც „შავი მუშა“.

ასეთი იყო პროფ. სიმონ ავალიანი, როგორც პიროვნება. ასეთი ადამიანის დაკარგვა უდიდესი დანაკლისია ჩვენი ხალხისათვის. ჩვენმა უნივერსიტეტმა სიმონ ავალიანის დაკარგვით, დაკარგა ერთად ერთი მეცნიერი, რომელიც იკვლევდა და სწავლობდა ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს.

ჩვენმა ხალხმა სიმონ ავალიანის დაკარგვით დაკარგა საუკეთესო ინტელიგენტი. რომელსაც დიდი ნაყოფის მოტანა შეეძლო ჩვენი ღარიბი ქვეყნისათვის.

ჩვენმა ახალგაზრდობამ სიმონ ავალიანის დაკარგვით დაკარგა მეგობარი-ადმზრდელი.

მაგრამ ქართველი საზოგადოება ადასებს თავის მოღვაწეებს? ქართველი ხალხი პატივს მიუძღვნის მის ღირსეულ შვილებს? ვაი, რომ არა. ის ერი, რომელიც დიდ ილიას შუბლს გაუფურცლავს ტყვიით, ჯერ კიდევ დაუფასებელ დიდ ყაზბეგს, საგიეთში გაგზავნის, ეგნატე ნინოშვილსა და ილოდიონ ევდოშვილს სიმშილით დაეჭლეკეს,—რა გასაკვირველია, რომ ის ერი ვერ დააფასებს ახალგაზრდა პროფ. სიმ. ავალიანს.

და ეს, ჩვენდა სავალალოდ და ჩვენდა სამწუხაროდ, ასე მოხდა.

წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ პროფ. სიმონ ავალიანის ცხედარი ღირსად არ სცნო დიდების პანთეონში დასაფლავებისა. მაშ ვის ასაფლავებს ამ პანთეონში წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება?

ნუ თუ ქართული ახალგაზრდა უნივერსიტეტის ერთ დასაყრდენს, მრავალი მეცნიერული შრომის ავტორს და ქართველი ახალგაზრდობის მასწავლებელს ღირსად არავინ სცნობს, რომ მისი ცხედარი პანთეონში იქნეს დაკრძალული? ნუ თუ ვინმე ფიქრობს, რომ მეცნიერების ტაძრის ქურუმნი, ხელოვნების ტაძრის, (თეატრის), ქურუმთა ნაკლები ღირსი იყოს პატივისცემისა და დიდების? სად ვცხოვრობთ! რას ჩავდივართ? საით მივდივართ?

ჩვენ კარგად გვესმის ბოიკოტის საზოგადოების ქცევა და მოქმედება. მათი ფილისტერული ტვინი და პატარა სული ვერ შერიგებია პროფ. სიმონ ავალიანის პიროვნებას მხოლოდ და მიტომ, რომ იგი ბოიკოტის საზოგადოებაში არ იდგა, რომ იგი ძეძეფსმწოვართა დემონსტრაციებში არ დებულობდა მონაწილეობას, რომ იგი პატრიოტული ფრაზეოლოგიის გავლენით ქუჩაში პორეს არ იგრიჭულებდა, რომ იგი უგუნურად ბათომის ნავთსადგურსაკენ არ იყურებოდა, ყოველივე გასაგებია, ყოველივე ნათელია, გასაგებია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედება. გასაგებია დაკრძალვაზე დამსწრეთა მცირე რიცხოვნება, გასაგებია პეოფეზორთა ხაბჭოს დუმილი, რომელმაც არც გაზეთების ხაშუალებით და არც დაკრძალვის დროს არ აღნიშნა ოავანი მწუხარება? რას ნიშნავს ყოველივე ეს? რა სახელი უნდა უწოდოთ ამას?

ჩვენ პატივებას ვითხოვთ განსვენებულის ცხედრისა და მკითხველის მიერ, რომ გაუცავებელ საფლავის დროს გვიხდება ლაპარაკი ყოველივე ამის შესახებ, მაგრამ ბა როდისღა გამოვიტიროთ ჩვენი შერცხვენილი თავი, ჩვენი დაავადებული სული, ჩვენი დაცემული ადამიანობა? როდისღა ვიტიროთ ჩვენი ერის დაწვრილმანება, დაკნინება და ფუქსავატობა?

სადღაა მამა-პაპათა ზნეობრივი სიმტკიცე, რომლითაც მტრებსაც პატივს მიუძღოდენ? სადღაა სულის სიმაღლე, რომლითაც დიდ მოღვაწეებს სათანადოთ ადიდებდენ? ეუშმარიტად, რომ დავგლახაკდით.

მაგრამ ჩვენს დასნეულებულს სულს განახლებული საქართველო განკურნავს. ახალი ძალები დაიკერენ დახავსებული აზროვნებით შებოჭილ პიროვნებათა ადგილს. დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი უნივერსიტეტი სტუდენტობა, დაბრუნებული კანიკულებიდან, ძივა მისი საყვარელი ალმზრდელის საფლავზე, დაიტირებს მას და თავზე ლაფს დაასხამს ყველა მას, ვინც ღირსეულად ვერ დააფასებს ქართველი ერის გონებრივი ყოფის წარმომადგენელს და ჩვენი ეროვნული კულტურის დიდი ტაძრის, უნივერსიტეტის მსახურს.. ახალგაზდური უმწიკვლო გონება მოსწმენდს შეურაცხყოფის ჩირქს ქართველ ხალხს და პროფ. სიმონ ავალიანის უკვდავ სახელს, უკვდავყოფს თავის გულის სიღრმეში.

დღევანდელი ჩვენი საზოგადოება, საზოგადოება გოდების, საზოგადოება ტირილის, საზოგადოება უმოქმედობისა და გაბუტვისა რომელიც დაფნის გვირ-

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მიზარბაგ, შვილები: სავლე, სერგო, სომენტი და ნასიჩკა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა

ერმოლნია გრიგოლის ასული კიკნაველიძისა

დასაფლავება მოხდება სოფ. კიკნაველეთში (შორაპ. მაზრა) ხუთშაბათს, 17 აგვისტოს.

გვინით შეამკობს დემაგოგებს და ფრაზიორებს, ვერ დააფასებს მას, ვინც ჩუმად და დაუღალავად მუშაობს ერისა და ხალხის სამსახურისათვის. იგი ვერ დააფასებს მას, ვინც ფრაზეოლოგიის მაგივრად გონიერებას გვაწვდის, ყვირილის ნაცვლად მუშაობას მოითხოვს, პროკლამაციის მაგივრად მეცნიერულ შრომას გვიწერს. მაგრამ ოდესმე ისტორია ხომ მოითხოვს ანგარიშებს? ისტორიას ხომ ვერავინ გაექცევით?

ხერ. ამაღლობელი.

ლონდონის თათბირი

ლონდონის თათბირის 4 და 5 დღე.

ნაუენი. 12 აგვისტო. ინგლისის კაბინეთის თათბირს შედეგად მოჰყვება ინგლისის მთელი რიგი კონტრ-წინადადებათა, რომელიც წარდგენილი იქნება ლოიდ-ჯორჯის მიერ პროდუქტიულ გარანტიების საკითხში საფრანგეთთან კომპრომისის მიღწევის მიზნით. ინგლისის სარწმუნო წყაროების ცნობების თანახმად, ინგლისის კონტრ-წინადადება შეიცავს გერმანიის ექსპორტიდან 26 პროცენტის გადარიცხვას და გერმანიის საბაჟოების შემოსავალთა კონფისკაციას ზოგიერთი შეზღუდვით. გაზ. „დეილი ექსპრესი" ახასიათებს რა მდგომარეობას, ფიქრობს, რომ საფრანგეთი ეხება საკითხს საომარი თვალსაზრისით, ინგლისი კი ეკონომიური თვალსაზრისით.

არ არის მორატორიუმი გარანტიების გარეშე.

ბორდო. 12 აგვისტო. ლლოიდ ჯორჯის, ფენისის და პუანკარეს თათბირმა, რომელიც მოხდა პარასკევს, შედეგად მოჰყვა შემდეგი პრინციპის აღიარება: არ არის მორატორიუმი გარანტიების გარეშე. გარანტიათა შორის აღიარებულია 26 პროცენტიანი გადარიცხვა უცხოეთის გადასახადებისაგან, რომელიც უბრუნდება გერმანიას ექსპორტის ნაცვლად, მოკავშირეთა სასარგებლოდ გერმანიის საბაჟოების შემოსავლის კონფისკაცია, რეიხსტაგის ავტონომია, გერმანიის ბიუჯეტის რეფორმა. სხვა გარანტიების შესახებ მოლაპარაკება გრძელდება.

შეთანხმდენ.

ბორდო. 12 აგვისტო. ფინანსთა ექსპერტებმა ერთხმად მოიწონეს 7 პუნქტი, რომელიც მიღებულია მთავრობათა თავმჯდომარეების მიერ. თანხები, რომელიც შემოვა ამ ზომების მიღების შემდეგ, უნდა იქნას შეტანილი რეიხსტაგის მიმდინარე ანგარიშში გარანტიების კომისიის სახელზე, რომელიც ამ თანხებს დასტოვებს გერმანიის განკარგულებაში მანამ, სანამ გერმანია შეასრულებს თავის ვალდებულებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში თანხები დაუყოვნებლივ იქნება ჩამორთმეული კონფისკაციით კომისიის მიერ.

მდგომარეობა სანუგეშოა.

ბორდო. 12 აგვისტო. ბრიუსელიდან მიღებულ ცნობების თანახმად, დღეს მდგომარეობა ლონდონში სანუგეშოა. ფიქრობენ, რომ საკითხი ახლო მომავალში იქნება გადაწყვეტილი. ადასტურებენ შეთანხმებას გარანტიების 7 მუხლის გარშემო. ოფიციალურ ცნობების თანახმად ინგლისის კონტრ-წინადადება ითვალისწინებს. 1) რომ გერმანიას ექნება მინიჭებული მორატორიუმი, 2) გერმანიამ უნდა გადაიხადოს ნატურით სახელმბრ ნახშირი, ხე ტყის მასალა. გარდა ამისა, გერმანიამ უნდა გასცეს კანონი, რომელიც შეაფერხებს გერმანიის კაპიტალის საზღვარ-გარეთ გასვლას, უნდა დააწესოს რეიხსტაგის ავტონომია და მოაწყოს გერმანიის ფინანსებზე საკონტრიბუციო კომისიის კონტროლი.

ლონდონის კონფერენცია.

რომი. 13 აგვისტო. ლლოიდ ჯორჯს ჰქონდა კერძო საუბარი ლონდონის კონფერენციაზე მოსულ დელეგატებთან.

ინგლისის მინისტრთა საბჭომ თავის საღამოს სხდომაზე მისცა ლოიდ-ჯორჯს ნდობის ახალი მანდატი. სხდომის შემდეგ ლლოიდ ჯორჯი გაემგზავრა მოხსენებით მეფესთან.

გაზეთები (გამოტოვებულია)... ინგლისის ახალი წინადადების წარმოდგენის შემდეგ, რომელიც შეეხებოდა რეპარაციებს, მოხდა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება.

საფრანგეთის მინასტრთა საბჭომ, რომელსაც სხდომა ჰქონდა მილიერანის თავმჯდომარეობით, მოიწონა პუანკარეს მოქმედება ლონდონის კონფერენციაზე.

ირლანდიაში.

რომი. 13 აგვისტო. ირლანდიის ნაციონალურმა ჯარებმა დაიჭირეს კორკი და მთელი რიგი სხვა ადგილებისა.

— ირლანდიის აჯანყებულები კორკში სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის ჯარებს. კორკში დამწვარია ყაზარმები და საზოგადოებრივი შენობები.

ფეტვი-ბეი.

მოსკოვი 12 აგვისტო. ანგორიე მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრი ფეტვი-ბეი დღეს მიემგზავრება ლონდონიდან, რომ პარიზის გზით დაბრუნდეს ოსმალეთში. ფეტვი-ბეიმ უარჰყო კერზონის წინადადება ანგორის მთავრობასთან განსაკუთრებულ შეთანხმების შესახებ.

იტალია და ბრაზილია.

რომი 13 აგვისტო. იმ დროს, როდესაც გენერალი კავილია ჯდებოდა გემში, რომ დაბრუნებულიყო ბრაზილიიდან იტალიაში, მიიღეს დეპეშა იტალიის მთავრობისაგან კავილიას ბრაზილიის დამოუკიდებლობის ასი წლის დღესასწაულზე იტალიის წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ. ეს ცნობა ბრაზილიაში დიდი აღტაცებით მიიღეს.

იტალიაში.

რომი 13 აგვისტო. მინისტრთა საბჭომ 12 აგვისტოს სხდომაზე მოიწონა ზომები, რომელიც მიიღო მთავრობამ გენუის ნავთსადგურის საქმეთა მოსაგვარებლად. სერრატი დანიშნეს გენუის ნავთსადგურის დროებით კომისრად.

მთავრობის კომისარი რიჩჩი შეუდგა მილანის მუნიციპალიტეტის საქმეთა სასწრაფოდ განხილვას.

შეტაკებანი ჰამბურგში.

ჰანოვერი 12 აგვისტო. ჰამბურგში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკებანი კომუნისტების და პოლიციის შორის. კომუნისტებს არ სურდათ კინემატოგრაფში გაეშვათ რუსეთის სისხლის ღვრის შემთხვევების სურათები. შეტაკების დროს დაიჭრა 13 პოლიციელი.

გერმანიის ამბები

გაფიცვები გერმანიაში

მოსკოვი. 13 აგვ. ბერლინიდან 10 აგვისტოს თარიღით იტყობინებიან: პურის ფასის ასვლამ გერმანიაში გამოიწვია მრავალი გაფიცვა, რომელიც არ დაუდასტურებია პროფკავშირებს. ხელმძღვანელებმა უარი სთქვეს გაფიცულთა დახმარებაზე, რამაც გამოიწვია გაფიცვების დაშლა.

— ბერლინის მელიორაციის მეტალურგიის ხმის უმეტესობით მიიღეს შეთანხმება სამუშაო ხელფასის შესახებ.

— გერმანიაში მოელიან დიდი სავაჭრო ფირმების მუშათა გაფიცვებს. მწარმოებელთა წინადადება სამუშაო ხელფასის 65-პროც. გადიდების შესახებ, უარყოფილ იქნა მოსამსახურეებისაგან.

უცხოეთი

ახალ კანონისათვის ნდობის გამოცხადება.

რომი. 12 აგვისტო. გუშინ, დეპუტატთა პალატამ გამოუცხადა ნდობა ახალ კაბინეთს 247 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 123-ისა. სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, პალატა გაშვებულ იქნა ვაკაციებზე. გაზეთები და საზოგადოებრივი აზრი სიამოვნებით აღნიშნავს სხვა და სხვა პარტიების ორგანიზაციების ზომიერ ტონს და განმეორებულ მანიფესტაციებს არმიის, ფლოტის და მეფის საპატივცემლოდ.

გაფიცვა გერმანიაში.

მოსკოვი 12 აგვისტო. გაფიცვა ფრანკფურტში ვითარდება ფიქრობენ, რომ აუცილებელია საერთო გაფიცვა: რამოდენიმე სავაჭროები დარბეულია. დაპატიმრებულია 300 კაცი.

გერმანიის პარტიათა შორის.

მოსკოვი 12 აგვისტო. ბერლინში ფაბრიკების კომიტეტების საერთო კრებაზე მოხდა დიდი აურზაური კომუნისტებსა და სხვა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთა შორის. კამათი გამოიწვია მემარჯვენე სოციალისტების წარმომადგენელის კრიუგერის წინადადებამ ბოლგარიის კონფლიქტის საკითხის დღის წესრიგიდან გამორიცხვის. შესახებ, ამ საკითხის შესახებ სიტყვა მიეცა კომუნისტ რეველს, რომელმაც სასტიკად გააკრიტიკა მეუმრავლესე და დამოუკიდებელ სოციალისტების ტაქტიკა და მოუწოდა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს იმუშაონ ძალების კონცენტრაციისათვის სახელმწიფოში ეკონომიური კონტროლის მოსაპოვებლად. დამოუკიდებლების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ესერების პროცესი ვითომც ხელს უშლის ერთიან პროლეტარული ფრონტის აღდგენას. კომუნისტებმა წინადადება შეიტანეს საკითხი პროტესტის შესახებ დასვან დღის წესრიგში სპეციალურ კრებისათვის. მიუხედავად სოციალისტების ლიდერების ენერგიული პროტესტისა, წინადადება მიღებულ იქნა. წინადადება კრების დახურვის შესახებ უარყოფილ იქნა, რის შემდეგაც სოციალისტების დელეგატთა უმრავლესობა სხდომამ დასტოვა კრების ჩაშლის მიზნით.

საიმპერიო კონფერენცია სახალხო განათლების საქმეთათვის.

მოსკოვი 7 აგვისტოს ბერლინში გაიხსნა პირველი საიმპერიო კონფერენცია სახალხო განათლების საქმეების განსახილველად.

ავსტრალია და გერმანია.

მოსკოვი 12 აგვისტო. ავსტრალიამ ოფიციალურად განაახლა სავაჭრო ურთიერთობა გერმანიასთან. სიდნეის ნაეთსადგურში მივიდა პირველი გერმანიის სავაჭრო გემი.

შოვინისტების ცდა გერმანიის ტვირთებისადმი ბოიკოტის გამოცხადების მოწყობისათვის, უშედეგოდ ჩატარდა.

იტალიაში.

მოსკოვი. 12 აგვისტო. მთავრობის უწყებებში იტალიის უკანასკნელი ამბების შესახებ ნათქვამია, იტალიაში სამოქალაქო ომი გრძელდება. უკანასკნელ დროს მოხდა დიდი შეტაკებანი ფაშისტებსა და მუშების შორის, ტრიესტში, სავაიაში და სხვა ქალაქებში, დამწვარია კამერები. (დასასრული არ არის მიღებული.

სერბიაში.

მოსკოვი. 12 აგვისტო. სერბიაში მოკლეს, პოლიტიკური მოტივების გამო, დეპუტატი რადიკალი ფილიმოვიჩი.

ზემო სილეზიაში.

მოსკოვი. 12 აგვისტო. კატოვიცაში მოხდა უწესოებანი სურსათის გაძვირების გამო.

მთიულეთის რეპუბლიკაში;

ვლადიკავკაკი. 8 აგვისტო. ინმუშეთის მაზრაზე ადგილი აქვს საყურადღებო მოვლენას. უკანასკნელ დროს სიმინდი გაციცლებით მეტს ფასობს ხორბალზე. ამის მიზეზია სიმინდის ეკონომია და მისი მოთხოვნილება, შინაურ ფრინველების გამოსაკვებად.

ფოსტა-ტელეგრაფის საყოველთაო გაფიცვა.

რომი. 12 აგვისტო, ფოსტა ტელეგრაფის საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების გამო ისპანიაში 12 მილიონი წერილი არ გადაუცია თავის ალაგზე. შინაგან საქმეთა მინისტრი კაბინეტიდან გავიდა.

გაფიცვების შეწყვეტა.

ბორდო 12 აგვისტო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და გაფიცულთა კომიტეტის თათბირის შემდეგ ფოსტის მოხელეებმა განაახლეს მუშაობა.

სამი წლის დღესასწაული.

ნაუენი. 12 აგვისტო. გერმანიის ახალი რესპუბლიკანური კონსტიტუციის სამი წლის თავის დღესასწაულის დღეს არის შემდეგი ლოზუნგი: "ერთობა, სამართლიანობა და თავისუფლება". პრეზიდენტ ებერტმა გამოაქვეყნა პროკლამაცია, რომელიც გამოხატავს რწმენას გერმანიის სალოიალო გადარჩენაში, მიუხედავად სასტიკ თანამედროვე ეკონომიურ პირობებისა. შუა დღისას რეიხსტაგის შენობაში შესდგა კრება ყველა სახელმწიფოთა, რომელნიც შედიან გერმანიის სახელმწიფოს შემადგენლობაში, დაესწრო პრეზიდენტი ებერტი, კანცლერი ვირტი და მთელი კაბინეთი და აგრეთვე ბევრი დიპლომატი, რომელთა შორის იყვნენ ინგლისისა და იტალიის წარმომადგენელნი. პრეზიდენტ ებერტმა წარმოსთქვა მისალოცი სიტყვა.

ამერიკის პრეტენზიები.

ნაუენი. 12 აგვისტო. კანცლერ ვირტმა და ამერიკის წარმომადგენელმა ბერლინში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას შერეულ კომისიის დაარსების შესახებ, რომელიც განიხილავს ამერიკის ომის დროინდელ პრეტენზიებს გერმანიისადმი. კომისია შესდგება სამი პირისაგან—ერთი ამერიკელისაგან—წარმომადგენლის და თავმჯდომარის დანიშვნისამებრ. გერმანიის მთავრობამ სთხოვა პრეზიდენტ ებერტს დანიშნოს ამ პოსტზე ამერიკელი იმპაირი. პრეზიდენტ ჰარდინგმა დანიშნა შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე ვილიამი დეი.

გერმანიის პრესის მიხედვა.

ნაუენი. 12 აგვისტო. გერმანიის პრესა ესალმება შეთანხმებას და ამბობს, რომ ურთიერთ ნდობის და შეთანხმების სურვილმა მოგვცა შეთანხმებაო.

კიდევ ვალდებულებანი.

ბერლინში გადადგმულ დიპლომატიურ ნაბიჯის გამო გერმანიის მთავრობამ ვალდებულება მიიღო აძლიოს იტალიას 633.000 ტონი ნახშირი ყოველ თვიურად.

ნახშირის წარმოების დაცემა გერმანიაში.

ნაუენი. 12 აგვისტო. „ბერლინერტაგებლატი" აზრით მოსალოდნელია ახლო მომავალში გერმანიის ნახშირის წარმოების დაცემა. გერმანია, რომელსაც ომამდე საზღვარგარეთიდან გაჰქონდა 34 მილ. ტონი ზედმეტი ნახშირი, ამ ჟამად დამოკიდებულია საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ ნახშირზე.

ბერძნები.

ბორდო. 12 აგვისტო. მიუხედავად იმისა რომ ზოგიერთი რაზმები ბერძნებისა უკან გაბრუნებულა, იტყობინებიან ახალი ძალების. [illegible] ლერიის, [illegible]

[illegible]

მუშაობა.

მოსკოვი. აგვისტოს 13-ს გაზ. „[illegible] რალდი" აქვეყნებს მოწოდებას (გამ[illegible] ტოვებულია)... ამერიკის მუშათა პა[illegible] ტიისას, ინგლისის კომუნისტური პა[illegible] ტიისადმი ინგლისისა და ამერიკის მ[illegible] შების სოლიდარობის შესახებ. მოწოდ[illegible] ბაში აღნიშნულია, რომ თუ ინგლის[illegible] მუშები იტყვიან უარს ამერიკელებ[illegible] შეკვეთის შესრულებაზე, მაშინ ამერიკ[illegible] მუშების გამარჯვება უზრუნველყოფილ[illegible] იქნება. ამერიკელ მალაროს მუშებ[illegible] ბრძოლა ხელფასის შემცირების წინააღ[illegible] მდეგ, არის ბრძოლა მთელი ამერიკ[illegible] პროლეტარიატისა. მემაღაროვეთა [illegible] მარცხების შემდეგ კაპიტალი შეეცდ[illegible] კიდევ უფრო მეტი მუშური მასები [illegible] მონავოს.

რეპარაციები.

მოსკოვი. აგვისტოს 13-ს ინგლის[illegible] კაბინეტმა ერთხმად მოიწონა ლლოი[illegible] ჯორჯის პოლიტიკა რეპარაციის [illegible] კითხში.

— გაზ. „ფოსიშე ცეიტუნგის" ცნ[illegible] ბით პუანკარე ამუშავებს ახალ გეგმ[illegible] რომელიც შეიცავს რამოდენიმე დათმ[illegible] ბას საფრანგეთის მხრივ.

— გაზ. „ნიუ-იორკ-გერალდი" იტყ[illegible] ბინება, რომ ლლოიდ-ჯორჯმა და პუ[illegible] კარემ დაადგინეს გადასცენ სარეპარ[illegible] ციო კომისიას გაანსახილველად მორ[illegible] ტორიუმის საკითხი, კომისიამ პრინც[illegible] პიალური თანხმობა განაცხადა გერ[illegible] ნიისათვის მორატორიუმის მიცემაზე.

ამერიკის ზარალის ანაზღაურება.

მოსკოვი. აგვისტოს 13-ს. ვირტ[illegible] მთავრობასა და ბერლინში მყოფ ამერ[illegible] კელ ელჩის შორის მოხდა შეთანხმება [illegible] რომლითაც დაარსებულ უნდა იქნ[illegible] შერეული კომისია იმ თანხების ჯამ[illegible] გამოსარკვევად, რომელიც ერგება ამ[illegible] რიკას, ომში მიყენებული ზარალის ას[illegible] ნაზღაურებლად. გერმანიის პრესა ეფ[illegible] სებს ამ აჯანყებას, როგორც ნაბიჯ[illegible] გადადგმულს წინ, ვერსალის ხელშეკრ[illegible] ლების შემდეგ და როგორც ომის სამ[illegible] ლოო ლიკვიდაციას გერმანიისა და ამ[illegible] რიკის შორის.

დომბალის პროცესის შესახებ.

მოსკოვი 13 აგვისტო. გაზ. „[illegible] პოლსკი" იტყობინება, რომ დომბალ[illegible] გადასაჩივრა სასამართლოს განაჩენი. [illegible] ქმე ხელ-ახლავ გაირჩევა დეკემბერში.

ირლანდიაში.

მოსკოვი 13 აგვისტო. ირლანდიიდ[illegible] მიღებული ცნობების თანახმად ქალ[illegible] კორკის ის ნაწილი, რომელიც მთავრ[illegible] ბის ჯარმა დაიკავა, ცეცხლშია გახვეუ[illegible] ლი. აჯანყებულთა ზტაბმა მოწოდება [illegible] მიმართა რკინის გზელ მუშებს, არ ა[illegible] მოუჩინონ დახმარება მთავრობის ჯ[illegible] რებს.

გერმანელი და რუსი მონარქისტები.

მოსკოვი. 13 აგვ. გაზ. „ედეილი გერალ[illegible] დი" იტყობინება, რომ ვილგელმ 2-ეს [illegible] მეიდრო კავშირი რუსეთის მონარქის[illegible] ტებთან, კერძოდ კაზაკების გენერალ[illegible] ფედოროვთან, რომლის საშუალებით [illegible] ვილგელმმა გადასცა რუსეთის რეაქციო[illegible] ნერებს 2.000 ჰოლანდიური გულდენი.

ბავარიაში

მოსკოვი. 13 აგვ. ხელმოწერილია შ[illegible] თანხმება იმპერიის კაბინეტსა და ბავ[illegible] რიის პრემიერის შორის. იმპერიის კაბ[illegible] ნეტმა ეს შეთანხმება დაადასტურა.

გერმანია და საბჭოთა რუსეთი

მოსკოვი. 13 აგვ. გერმანიის მცხოვ[illegible] რეთა ფართო მასების განწყობილებ[illegible] საბჭოთა რუსეთისადმი ყველაზე უკეთ[illegible] გამოხატულია პროფესორ კლემპერ[illegible] წერილში, რომელიც დაბეჭდილია გ[illegible] „ცეგლიხე რუნდშაუნი". კლემპერერ[illegible] სასტიკ პროტესტს აცხადებს რუსეთ[illegible] შეღლის წინააღმდეგ, „რომელსაც [illegible] სავს „გერმანიის შურეუზიული და სო[illegible] ციალ-შემთანხმებელი პრესა. კლემპერერ[illegible] სწერს: „რაპალოს ხელიეკრულების [illegible] ლით გერმანია არ უნდა ჩაერიოს რუს[illegible] თის შინაურ საქმეებში. მაგრამ გერმ[illegible] ნიას უნდა გაეგო რუსეთის მთავრობ[illegible] ახალი სისტემის ისტორიული მნიშვნ[illegible] ლობა.

კლემპერერი ღრმა პატივისცემ[illegible] ღნიშნავს საბჭოთა მთავრობის ღირს[illegible] ებს, შეუდარებელი თავდადებას, სახელ[illegible] მწიფოებრივი სიბრძნეს და ენერგიას. [illegible] კლემპერერი დარწმუნებულია, რომ სუ[illegible] ახლო მომავალში. საბჭოთა მთავრობ[illegible] განმტკიცდება და ამბობს, რომ საბჭოთ[illegible] ხელისუფლების იდეა ღრმად შეიჭრ[illegible] რუსეთის ხალხმაო.

ეხება რა ესერების პროცესს, კლემპერერი ამბობს, ანტიეროვნულ დემონსტრაციების დროს მუშათა მასების მიერ გამოჩენილ ენტუზიაზმის შესახებ. მუშებმა სრულიად თავისუფლად და ბუნებრივად გამოამჟღავნეს თავის ნებისყოფა.

თავის წერილს კლემპერერი ათავებს შემდეგი სიტყვებით: „რუსეთისათვის მორალური ნდობის გამოცხადება—თვით გერმანიის ინტერესებისათვის არის საჭიროებელო, ვინაიდან რუსეთის გამარჯვება არის იმავე დროს გერმანიის გამარჯვებაც.

ლონდონის კონფერენციის გამო.

რომი. 13 აგვისტო. იტალიის გაზეთები ეხებიან რა ლონდონის კონფერენციას, მიუთითებენ ინგლის-საფრანგეთის უთანხმოების მოგვარების ტენდენციაზე. იტალიის ზეგავლენით რომელიც ენერგიულად იცავდა რეპარაციების ეკონომიურ ხასიათს და უარყოფდა მის პოლიტიკურ მნიშვნელობას. იტალიის წარმომადგენელებმა გაილაშქრეს კონფერენციაზე გერმანიის ტერიტორიის ოკუპაციის წინააღმდეგ, მაგრამ მხარს უჭერდენ ეკონომიურ ხასიათის ზომებს, რაც საჭიროა საერთო ინტერესებისათვის.

12 აგვისტოს იტალიის ხაზინის მინისტრ პარატორეს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ინგლისის ხაზინის კანცლერთან საერეპარაციო საკითხისა და ინგლის იტალიის ხაზინების ურთი-ერთების საკითხის შესახებ.

დღეს ფინანსთა მინისტრმა და ექსპერტებმა მოიწონეს ინგლისის კონტრ-პროექტი მცირეოდენი შესორებით. პროექტის თანახმად გერმანიის საბჭოს შემოსავალი და ექსპორტის ბაჟი უნდა იქნეს შეტანილი საიმპერიო ბანკში საერთაშორისო საერეპარაციო კომისიის სახელზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ხსენებული შემოსავალი კონფისკაციით იქნება ჩამორთმეული კონტრ-პროექტი ორშაბათს იქნება განხილული კონფერენციის პლენარულ სხდომაზე.

ფრანგულ გაზეთის „ენერგია“ კორესპონდენტმა ინახულა შანცერი. რომელმაც გამოსთქვა აზრი დიდ სახელმწიფოების თანხმობის აუცილებლობის შესახებ. მან აღნიშნა შეიდრო კავშირი საერეპარაციო პრობლემასა და საკავშირო ვალების საკითხის შორის, რომელიც ახლო მომავალში იქნება განხილული.

რუსეთი

რუსეთი

„ეივანია ცერკოვის“ ყრილობა

მოსკოვი. 13 აგვ. „ეივანია ცერკოვის“ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ სამრევლო საბჭოები გადაიქცენენ კონტრ-რევოლიუციონურ პროპაგანდის იარაღად, იქ მოკალათებულ კონტრ-რევოლიუციონუ ელემენტების მეოხებით. ყრილობა საჭიროდ სთვლის გაუქმებულ იქნეს ის ხელშეკრულებანი, რომელიც დადებულია ერის კაცთა ჯგუფების მიერ სამრევლო ეკლესიებისა და ქონების მფლობელობის შესახებ. ყრილობა მოითხოვს უმაღლეს საეკლესიო მმართველობისაგან ყველა სამრევლო საბჭოების გაზვებას. გამოტანილია რეზოლიუციი გაერთიანებულ საეკლესიო კასის ორგანიზაციისა და სასულიერო წოდების სოციალურ უზრუნველყოფის შესახებ.

„წითელი“ დროშა.

მოსკოვი. 13 აგვისტო. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა საბჭომ დაადგინა დასაჩუქროს „წითელი დროშის“ ორდენით ბაქოს ნავთის სამრეწველოების მუშები და ინჟენერები, აპრილში გაჩენილ ცეცხლის ჩაქრობის დროს გაწეულ მუშაობისათვის.

ბაქოს ეხერები.

მოსკოვი 13 აგვისტო. ამ დღეებში მოსკოვიდან გამოიგზავნება ბაქოში უმაღლეს ტრიბუნალის სესია მემარჯვენე ესერების ადგილობრივ ორგანიზაციის გასამართლებისათვის, რომელთაც სხვათა შორის გაუჩინეს ცეცხლი ნავთის სამრეწველოებს.

დახმარება უკრაინის დამშეულებს.

მოსკოვი 13 აგვისტო. უკრაინის დაშეულთა დამხმარე ცენტრალურმა კომიტეტმა თითქმის სავსებით შეასრულა ამოცანები უკრაინის გუბერნიების დამშეულთა დახმარების შესახებ.

„ტორფის“ ამოღება.

მოსკოვი 13 აგვისტო. უკანასკნელ ხანებში ძალიან გაიზარდა უკრაინის მიდამოებში ტორფის ამოღება. მანქანების საერთო რიცხვი გაიზარდა 8-დან 10-დე. ახლო მომავალში დაიწყებს მუშობას კიდევ 14 მანქანა.

ხაქონელი ხალვარ-გარეთიდან

მოსკოვი. 13 აგვ. კიევში ყოველდღე მოდის საზღვარ-გარეთიდან 50 ვაგონი საქონელი.

ნიჟეგოროდის ბაზრობისათვის

მოსკოვი. 13 აგვ. ნიჟეგოროდის ბაზრობაზე მოელიან დასავლეთ ევროპის და შორმდგომ აღმოსავლეთის სამრეწველო ფირმების წარმომადგენელთა ჩამოსვლას.

სამეურნეო ფრონტზე

მოსკოვი 13 აგვ. იაროსლავის რკ. გზელებმა 100 პროც. გადამეტებს ივლისის თვეში ნორმალურად საფრონტო მუშაობას. მუშებმა დაადგინეს იმუშავონ ყოველ დღე სამი საათი ზედმეტად.

მისალმება ნ. ამხ. ლენინს.

მოსკოვი. აგვისტოს 13 ს ამხ. ლენინს მოსდის მრავალი მისალმებანი საბჭოთა რუსეთის ყველა კუთხიდან, მისი განკურნების შესახებ.

არმიის სურსათით უზრუნველყოფის მთავარი კომიტეტის გაუქმება.

მოსკოვი. აგვისტოს 13-ს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის პრეზიდიუმმა დადგინა გაუქმოს არმიის სურსათით უზრუნველყოფის მთავარი კომიტეტი და მისი ფუნქციები გადასცეს სახალხო სასურსათო და სამხედრო და საზღვაო კომისარიატებს, რადგანაც რესპუბლიკის სამხედრო მდგომარეობა შეცვლილია. ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა მადლობა გამოუცხადა მთავარი კომიტეტის თანამშრომლებს და განსაკუთრებით იმათ, ვინც ომის დროს დაუდალავად მუშაობდა.

აღმოხავლეთ ბუხარაში.

მოსკოვი. აგვისტოს 13-ს სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ წითელი არმიის ნაწილებმა, რომელნიც ენერგიულად მუშაობენ აღმოსავლეთ ბუხარაში, ენვერის რაზმთან ქ. კუაგანციუპის აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით პატარა ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ქალაქი კულიაბი, ბელჯისტანი და რამოდენიმე სოფელი. ეწვერის რაზმები დიდის ზარალით იხევენ აღმოსავლეთისაკენ.

შეშის კრიზისი.

მოსკოვი. 13 აგვისტო, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის რკინის გზები შემოდგომის კამპანიისათვის შეშით არ არიან უზრუნველყოფილი, რაც სერიოზულ საშიშროებას იწვევს. ზოგებია მიღებული მიეცეს რკინის გზას დაუყოვნებლივ შეშის ის მარაგი, რომელიც გეგმით იყო გამოანგარიშებული.

ჯავშნოსან ნაწილების უფროსების თათბირი.

მოსკოვი. 13 აგვისტო. 1 სექტემბერს მოსკოვში გაიხსნება წითელი არმიის ჯავშნოსანი ნაწილების უფროსების თათბირი.

ინვალიდების უზრუნველყოფა.

მოსკოვი. 13 აგვისტო. დასავლეთის ცენტრალურმა მმართველობამ დაადგინა აწარმოოს ინვალიდების უზრუნველყოფა, გუბერნიის სოციალური დაზღვევის განყოფილებასთან დაარსებული სპეციალური კომისიების საშუალებით.

ინჟენრების ყრილობა.

მოსკოვი. 13 აგვისტო. 15 ნოემბრისათვის სრულიად რუსეთის პროფ კავშირთა საბჭო ინჟენრების ყრილობას იწვევს.

ქიმიკოსთა შორის.

მოსკოვი. 13 აგვ. ქიმიკოსთა ცენტრალურმა გამგეობამ მოახდინა თავის წევრების ხელ-ახალი რეგისტრაცია. ნებაყოფლობითი წევრობის გამო რეგისტრაციაში არ გატარებულა მხოლოდ 2 პროცენტი.

ბავშვთა შრომა.

მოსკოვი. 13 აგვისტო. რომის სახალხო კომისარიატმა შეუძლებლად იცნო ბავშვების მიწის ქვეშ მუშაობა და აგრეთვე მძიმე ტვირთების გადატანისა და ღამ ზედმეტ სამუშაოს შესრულებაში. მას შეუძლებლად მიაჩნია აგრეთვე ბავშვების ისეთ სამუშაოებში ჩაბმა, რომელიც მოითხოვენ დიდ ფიზიკურსა და ენერგიის დახარჯვას და იწვევს ნერვიულობას.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

— **პრ. ხ. ავალიანის დასაფლავება.** 13 აგვისტოს, დასაფლავებულ იქმნა უდროოდ თაკარგული ნიჭიერი და არა ჩვეულებრივი ენერგიის მქონე მეცნიერი—პროფესორი სიმ. ავალიანი. ქვაშვეთის საყვარში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი, საიდანაც განსვენებულს ცხედარი გამოსვენებულ იქნა პირველ საათზე. პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტის წინ დასვენეს კუბო მისი პირველი რექტორისა, სადაც განსვენებულ სიმ. ავალიანის მოადგილემ აკადემიკმა ნავაშინმა წარმოსთქვა სიტყვა. ნავაშინმა აღნიშნა განსვენებულის დამსახურება მეცნიერების წინაშე, მისი ზნეობრივი სიმტკიცე, როგორც ადამიანის და შეუდარებელი ორგანიზატორული ნიჭის გამოჩენა განსვენებულის პოლიტეხნიკ. ინსტიტუტის რექტორობის დროს. პოლიტეხნიკუმის სტუდენტებისაგან გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა სტუდ. წულუკიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სიმ. ავალიანი იყო სტუდენტებისათვის არა მარტო საყვარელი და პატივსაცემი რექტორი, ის იყო იმავე დროს უფროსი ამხანაგიც.

შემდეგ ცხედარი წაასვენეს რუსთველის პროსპექტით ნიკოლოზის სასაფლაოზე (ვერაზე). დამსწრე საზოგადოება, რომელიც უმთავრესად მისი მეგობრებისა და სტუდენტ-ახალგაზრდობისაგან შესდგებოდა, მეტად გაოცა იმ გარემოებამ, რომ განსვენებული სიმ. ავალიანი, როგორც ქართველი პროფესორი და ქართველი მოღვაწე, თვალსაჩინო მკვლევარი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა,—არ იქმნა დასაფლავებული დიდუბის პანთეონში. თანახმად განცხადებისა, ზოგი კიდეც ფიქრობდა, რომ ქართულ სახელმწიფო უნივერსიტეტში მიასვენებდნენ უკანასკნელად გამოსათხოვრად ამ უნივერსიტეტის ერთ საუკეთესო პროფესორს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. იგი დასაფლავეს ნიკოლოზის სასაფლაოზე, სადაც წარმოითქვა მრავალი სიტყვები, მაგრამ არსაიდან სჩანდა ქართული სახ. უნივერსიტეტის პროფესორის წარმომადგენელი, რამაც მეტად ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა. ხალხში ლაპარაკი შეიქნა, რომ წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობის უარყოფითი დადგენილების შედეგია, რომ ქართველი ერის მოამაგე—მეცნიერი არ იქმნა დასაფლავებული დიდუბის პანთეონში, რამაც განსაკუთრებით დაღონა ისედაც დამწუხრებულნი პირისუფალნი და დამსწრე პატივისმცემელნი განსვენებულისა.

— **გადადიდა 2—3 კვირით** აგვისტოს 20 სათვის დანიშნული ყრილობა სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეთა.

— **მუშათა უბნების** გასაშენებლად უნივერსიტეტსა და ყოფილ კადეტთა კორპუსის შუა ვაკეზედ ადგილების გასამიჯნავად და ნაკრებად გასაყოფად ტფილისის ქალ. აღმასკომმა გადასდო 32.480.000 მან.

— **მუშათა უბნები** შემდეგ მოეწყობა რიგ-რიგად: 1) დიდუბეში, 2) ავლაბარსა და ნავთლუღს შუა, კახეთის ქუჩის გასწვრივ, 3) ყოფილ სომხურ სასულიერო სემინარიის ზემოდ, ყოფილ ნადიროვის მიწაზედ, 4) ძმათა სასაფლაოსა და ხუდადოვის ტყის შუა, პავლოვსკის ქუჩის გასწვრივ და 5) რკინის გზის გადღმა, ხოჯივ-ნქის სასაფლაოს ზემოდ ყოფ. ბებუთოვის მიწაზედ.

— **მუშათა სახლები.** სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭ. საალმშენებლო განყოფილებას ტფილისის აღმასკომმა გადასცა დაუსახლებელი ადგილი 1 კომისარიატში ზომით 330 კვ. საჟენი ვარდისუბნისა და მატინოვის ქუჩებს შუა. აქ უნდა აშენდეს საცხოვრებელი სახლები მუშებისათვის, თანახმად მშენებელთა კავშირის სრ. საქართველოს მეორე ყრილობის დადგენილებისა.

— **მებაღეთა კონფერენცია.** დღეს 15 აგვისტოს, დღის 4 საათზე მოწვეულია მებაღეთა საქალაქო კონფერენცია, რათა განხილულ იქმნეს მოხსენება ს. ს. პ. საბჭოს მებაღეობის კომისიისა და ბაღრეული გეგმა მუშაობის ორგანიზაციისა მომავალი 1922—23 წლის სეზონისა. კონფერენციაზე მოსმენილ იქმნა მოხსენებანი ადგილებიდან.

— **მიწად-მოქმედების ტყის** მოსამ. **კავშირი.** ახალმა ცენტრალურმა გამგეობამ შინ. და ტყის მოს. კავშირისა აირჩია თავის წრიდან პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდენ: პასუხისმგებელი მდივნად ამხ. ალ. ფანცხავა ორგ. განყ გამგეთ. ამხ. სვანიძე.

— **სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიალური ტექნიკუმები.** განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სპეციალური კომისია იმუშავებს პროგრამას სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიალურ ტექნიკუმებისას. მომავალი წლის სამოსწავლო გეგმა აღნიშნულ ტექნიკუმებისათვის უკვე შემუშავებულია.

— **სასწლიანი დრამა.** გუშინ დილის საათის 11-ზედ, რუსთაველის პროსპექტზედ მამფორიის აფთიაქის მაღაზიაში შევიდა ვიღაც შიხლევსკი, რომელმაც ნაგანით მოკლა მაღაზიის პატრონი ხოლო მეორე გასროლით სასიკვდილოდ დაიჭრა თავი. შიხლევსკი ამ დღეებში ჩამოსულა რუსეთიდან, სადაც წასული ყოფილა მოკლული მამფორიას მეუღლის მშობლებთან სტუმრად. სწარმოებს გამოძიება.

— **თვითმკვლელობა.** გუშინ საათის 11-ზედ იოდის ხსნილით თავი მოიწამლა პროვინციიდან ახლად ჩამოსულმა ვინმე ვახტანგოვმა. მიზეზი თვითმკვლელობისა—სასოწარკვეთილებაა. მოწამლული სასწრაფოდ გადაიყვანეს რესპუბლიკის მთავარ სანავადმყოფოში, მაგრამ იგი მიყვანის უმალ გარდაიცვალა.

— **შემოწირულება.** ტფილისის აღმასკომის სალაროში შემოვიდა შემოწირულებანი ამხ. კამოს სახელობის ბავშვთა სახელის ფონდის გასაძლიერებლად 9 აგვისტოს სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის მუშა-მოსამსახურეთაგან 4.465,000 მან.

—

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერი შეცდომით გამოსულია შაბათის წარწერით.

სამხატვრო ქრონიკა

— **ეურნალ ილიონის პირვ. №-რი.** გამოვიდა შაბათს, აგვისტოს 12, ტფილისში ყოველთვიური სალიტერატურო ეურნალი „ილიონის“ პირველი ნომერი:

1. კ. გამსახურდია: ა) Maria Stella; ბ) ფრიდრიჰ ნიცშეს.
2. ი. გრიშაშვილი: ა) ჩემი ლოცვა, ბ) ილბალი დისონანსებით, გ) ქალს ულვაშებით, ქუდით და ჯოხით.
3. ნ. თარიშვილი—ტრიკური ციტფერ თვალზე.
4. მარიჯან—განჯა.
5. მოსაშვილი—მწვანე ბალდახინი.
6. ს. ფაშალიშვილი—ჩემი გვარის მოსაგონად.
7. დათა აგლაძე—უცნაური.
8. გარდელი — გაზეთ ფხულის ცულლუტობა.
9. კ. გამსახურდია—გოეთე თუ მისტიკოსი.
10. გრ. რცხილაძე — აცდენილი ტიპები.
11. ბრუტუსი—„პოეზიის დღეები“.

ბიბლიოგრაფიები: იოს. გრიშაშვილის მეორე წიგნი, ვ. ბარნოვის—ხაზართა სასძლო, ს. ფაშალიშვილის—„რიტორიკის“ თარგმანი, გაზეთი „ბახტრიონი“ № 3 გ. ქუჩიშვილის—მეხუთე წიგნი, ნ. ლორთქიფანიძის—კრებული. უქიმერიონი, ნ. მშველიშვილის— ტ. 1 და სხვ. მალა და ფული უნდა გამოიგზავნოს არჩილ ჯაჯანაშვილის სახელზე. ტფილისი—ცეკავშირში.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ხოფ ალუა. (სენ. მაზ.) პარტკომის მუშაობამ დიდი ყურადღება მიიქცია ხელისუფლების და გრუშე საზოგადოების მხრივ.

ივლისის 29 ს გამართულ მიტინგს თვალსაჩინო შედეგები მოყვა; გაფიცნტა პროვოკატორების მიერ შექმნილი ბურუსი, სამუდამოდ ბოლო მოეღო ჭორიკანობას და ხალხმა შეიგნო ჩვენი პარტიის პოლიტიკური სიმტკიცე. მეშვიდე კაცობა დარწმუნდა იმაში, რომ მემარცხენე სოც.-ფედ. პარტია არის ლეგალი პარტია და მასში მუშაობა არ წარმოადგენს არავითარ საშიშროებას.

ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობამ მაგალითი აჩვენა სხვებსაც.

შაბათს, აგვისტოს 3-ს, ადგილობრივ დაწყებითი სკოლის შენობაში, ძონძრის კომიჩეიკის თაოსნობით, მოწვეულ იქმნა საზოგადო კრება. კრებას დასწრო დიდძალი საზოგადოება, [illegible] ... ძლვის ჩვენი ამხანაგების მუშაობას.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თიმის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. იასონ ნადარაია, მდივნად—ძაკუჭავა. ამხ. თავმჯდომარემ გააცნო კრების მიზანი, დაახასიათა კომუნისტური პარტიის მუშაობა ოქტომბრის რევოლიუციამდე, გაკვრით შეეხო პარტიის პროგრამას, გააცნო კრებას პოლიტიკური პარტიები და მათი მიზნები, აღნიშნა ჩვენი პარტიის ვინაობა, მისი მუშაობა და დადებითი როლი რევოლიუციის განვითარების საქმეში. დასასრულ ამხ. ნადარაია გამოსთქვამს დამსწრე ამხ. გ. მუშიშვილის გამოსვლის სურვილს.

ამხ. ნადარაიამ ილაპარაკა მეტად მდგადიურის ენით და მოხსენებაც ხალისით იქმნა მოსმენილი.

ამხ. გ. მუშიშვილის გამოსვლას კრება დიდის აღფრთოვანებით და ტაშით შეეგება.

ამხ. გ. მუშიშვილის მოხსენება იყო საქმიანი ხასიათის. მთელ ემარე დარბაზი გამოფხიზლდა, გამოცოცხლდა. ყველა ყურადღებით უსმენდა ამხანაგს. მომხსენებელი ამბობდა იმ საკითხებზე, რაც ინტერესებს ეხებიან. ამხანაგმა-დაახასიათა ის ცვლილება, რომელიც მოხდა ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში პოლიტიკურსა და ეკონომიურს სფეროში. განმარტა დიქტატურა და საბჭოთა სისტემა. დაწვრილებით შეეხო ბურჟუაზიულ კლასების მდგომარეობას, მათს "უფლებებს". აღნიშნა ის სასტიკი ზომები, რომელსაც მიმართავს მშრომელთა კლასი თავის მოპირდაპირეს გასანადგურებლად. შემდეგ გადავიდა პოლიტიკურ პარტიებზე. გააშუქა მემარჯვენე პარტიების შავი მოღვაწეობა. დაწვრილებით შეეხო ჩვენს პროგრამას, ჩვენი პარტიის ისტორიას, კომუნისტებისაგან განსხვავებას და ბოლოს ამხანაგი შეეხო ისულის მემარცხენე ს. ფ. ორგანიზაციას და მათ მუშაობას. ბიუხვდადავდ იმისა, რომ ამხანაგმა თითქმის ორი საათი ილაპარაკა განუწყვეტლივ, კრებას მაინც არ ეტყობოდა დაღლილობა. მეუხარე ტაშმა დაფარა ამხანაგის უკანასკნელი სიტყვები.

კრება წესიერად მიმდინარეობდა, მაგრამ მისი ერთსულოვანობა დარღვეა ამხ. ვასილ ჯავახიას გამოსვლამ. ეგ ამხანაგი, მონგირიას კომიჩეიკის პასუხისმგებელი მდივანია. მას არ სცოდნია, რომ კომუნისტური პარტიის გარდა არსებობს კიდევ მეორე—მემარცხ. სოც.-ფ. ამხ. იასონ ნადარაიამ მისცა მას მეტად მკაცრი შენიშვნები და გააკმენდინა ხმა. მაგრამ აქაც როდი შეჩერდა ამხ. ჯავახია. მან მოითხოვა ისულის კომიჩეიკის შესადგენად წევრების კრებაზეევე ჩაწერა. კრებამ უარით უპასუხა მის კატეგორიულ მოთხოვნილებას: ჩვენ არ ვიცით, თუ რა არის კომუნისტური პარტია. არ გვაქვს მომზადება და ჯერ ვერ ჩავიწერებითო. საერთოდ, ამხ. ჯავახიას უტაქტო გამოსვლამ ცუდი შთაბეჭდილებადასდვა. ამხ. გ. მუშიშვილს და ამხ. იასონ ნადარაიას ხელმეორედ გამოსვლამ ერთიანად გაფანტა შექმნილი ატმოსფერა და ბოლო მოუღო გაუგებრობას.

საჭიროა კომპარტიამ მიაქციოს ყურადღება პარტიის წევრთა პოლიტიკურ განვითარებას. პასუხისმგებელ კომუნისტებმა მაინც უნდა იცოდნენ არა მარტო კომპარტიის, არამედ სხვა პოლიტიკურ მიმართულებათა ვინაობა. ცალმხრივობით შეუძლებელია საქმის გაკეთება, მით უმეტესად—პოლიტიკაში ჯერითი.

კრება დაიხურა 2 საათზე

ორმოლი გლეხი.

სასურსათო თადარიგი

გასულ თვეებთან შედარებით ჩვენი ქვეყნის სასურსათო მდგომარეობა გაფიჯობისებულია. ბაზარი დღეს სავსეა სურსათით და ჩვეულებრივი ჯაბაგირის მუშასაც საშუალება აქვს ოდნავად მაინც დაიკმაყოფილოს უპირველესი მოთხოვნილებანი. თქმა არ უნდა, ჯერ კიდევ შორია ვარ ნორმალურ მდგომ[illegible]

შექმნამდე. დღესაც მაშათა კლასი მინიშუს არსებობის საშუალებისას მოკლებულია. მისი რეალური ხელფასი მეტად მცირეა, მიუხედავად იმისა, რომ ნომინალურად, ფულის ნიშნების მიხედვით დღეს ყოველი ჩვენგანი „მილიონერი“ გახდა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საგარეო ვაჭრობის, გადმართოვებამ და მოსავლის კარგმა პირობებმა დიდად ხელი შეუწყო იმ ფინანსიური პოლიტიკის გატარებას, რომელმაც გამოაცალა ჩვენი ფულის კურსი. რომ არსებული მდგომარეობა შენარჩუნებული იქნეს და სასურსათო კრიზისის წინაშე არ დავდგეთ, დღესვე საჭიროა სახელმწიფოს ან კოოპერატივების მიერ დროზედ შესყიდული იქნეს სურსათი.

ჩვენ მოგვდის ცნობები, რომ ჩარჩები კვლავ სარგებლობენ სოფლის გაჭირვებით და ჩალის ფასად აცლიან გლეხებს ხელიდან სარჩო-საბადებელს. შემდეგ კი ერთი ასად გაზრდიან ფასებს და სოფლის მუშის ნაძარცვით ქალაქის მუშას გაძარცვავენ. ამიტომ საჭიროა სასურსათო თადარიგი ეხლავე იქნეს წარმოებული.

მართალია დღეს პირველი ხარისხის პურიც ბლომად მოიპოვება ჩვენს ქალაქებში, მაგრამ უმთავრესი იმედი მაინც არ უნდა გვეგნეს შემოტანილი პურის. ამ უიმედობას აქვს თავისი მიზეზები, რომელსაც ეხლა აქ არ შევეხებით.

წინეთაც საქართველო უმთავრესად საკუთარი მოსავლით ცხოვრობდა და მხოლოდ ცოტაოდენი პური შემოჰქონდა რუსეთიდან (რის საშალიერიოდ სიმინდიც გაჰქონდა). წელსაც კარგი მოსავალის საშუალებით, თუ კი თადარიგი დროზედ იქნება მიღებული, სასურსათო კრიზისს ავიცდენთ და შემოტანილი პურის დამატებით უზრუნველყოფთ ქვეყნის მოთხოვნილებას.

ყოველივე ამისათვის უმთავრესად არ უნდა დავივიწყოთ—სახელმწიფოებრივი გზით მომართება, ჩარჩების განდევნა.

მუშა —ლი.

ქართველ მაჰმადიან აწინდელ მოზარდი თაობის შესახებ ბათომში

ბათომი პირველად მე ვნახე 40 წლის წინეთ, ეხლაც ვეწვიე და ივლისისწინეთ რიცხვებში ვიხილე ბათომი. წინანდელ და დღევანდელ ბათომს შუა დიდი გარჩევა სძევს, დიდი განსხვავება, დღევანდელი ბათომი ის ალარ არის, რაც ის 40 წლის წინეთ იყო, 40 წლის წინეთ მთლად ქართველ მაჰმადიანებს საღათას ძილით ეძინათ. მაშინ თქვენ ერთ კაცს ვერ ნახავდით, რომ მას ნათელი წარმოდგენა ჰქონიყო თავის თავსა და ვინაობაზედ.

დღევანდელ ქართველ მაჰმადიანებს უკვე გაუხილავნია დაძინებული თვალები, იგინი გამოსულან საღათას ძილიდან და ბევრი რამ უცვნიათ და შეუტყვიათ, რის შეგნება კი არა და მის მოსაზრებაც არ ჰქონდათ 40 წლის წინეთ. დავასახელებ თუნდ ერთ მაშინდელ გარემოებას და ბათომის ქართული სკოლის საქმეს და იქ მოსწავლე ქართველ მაჰმადიანთ შვილების სწავლა-განათლების საქმეს.

ქართველ მაჰმადიანი შვილები დიდის ხვეწნით დაიარებოდნენ სკოლაში. მოწაფეთა ბავშვების პატრონებს ვეხვეწებოდით, ვემუდარებოდით, ასწავლეთ თქვენ შვილებს, უსწავლელებს ნუ სტოვებთ, ცოდონი არიან იგინი. მათი პასუხი იყო:—„ჩვენ თათრები ვართ, თქვენი სწავლა ჩვენთვის საჭირო არ არის“.

ეს იყო მათი პასუხი, ხოლო შიგა და შიგ იყვნენ მათშიც ისეთი შეძლებული კაცები, როგორც მაგალითებრ გელო ალა კაიკაციშვილი, განსვენებული ლელი ალა ნიკარაძე, ტეპარ ბეგი შარვაშიძე, ახმედ ეფენდი ხალვაში და ამდენ ეფენდი მიქელაძე და სხვანი, რომელნიც ამბობდნენ შემდეგს:

— არა, ჩვენ თათრები არა ვართ, ჩვენ ენით და სისხლით ქართველები ვართ, ჩვენი დედა ენა ქართული ენა გახლავსთ, ჩვენ შვილებს თავის დედა ენით უნდა მიეცეს სწავლა და არა ოსმალურის ენით, ვინაიდან ჩვენ ქართველები ვართ და არა თურქები და ქურთები.

იმასაც დავსძენთ, რომ ბათომის სკოლაში დიდის ხვეწნით და საჩუქრების ძღვევით დადიოდნენ ბავშვები და სწავლობდნენ, ამ დროს, მათ ულოლიებდნენ დიდათ და სწავლის საქმეში დიდს პატივს უწევდნენ და ყველასფრით შეღავათს აძლევდნენ, მაგრამ არა და არა, ესენი მაინც თავიანთ მასწავლებელ ხოჯასაგან დაშაბამულები იყვნენ და ძრიელ ხშირად სკოლაში სიარულს თავს ანებებდნენ ხოლოდ იმ უკულმართის მცნების საშუალებით, რომ ჩვენ თათრები ვართო.

ასე იყო მაშინდელ ქართველ მაჰმადიანთა შვილების საქმე და უეშველი და ერთათ ერთი მაგალითი იყო, რომ ქართულ სკოლაში სწავლა მიიღეს ოჯახები ნიკარაძემ და ისმაილ კაიკაციშვილმა. ამათ ტფილისის გიმნაზიაც გაათავეს და მერე ოდესის უნივერსიტეტში წავიდნენ სასწავლებლად, სამწუხაროდ ისმაილ კაიკაციშვილი იქ გარდაიცვალა. ასე და აქ გვარად მთელ ქართველ მაჰმადიანთ წარსულში 1878 წ. მოყოლებული მხოლოდ ეს ორი ქართველი განათლებული ახალგაზრდები სჩანან.

დღევანდელი ქართველი მაჰმადიანთ შვილების სურათი შეცვლილა. ბათომის დღევანდელ სკოლებში მრავლად სწავლობენ ქართველ მაჰმადიანთ შვილები და ვიტყვით იმასაც, რომ თვით ბათომის კლასიკურს გიმნაზიაშიც კი თვალსაჩინო რიცხვია ქართველ მაჰმადიანთ შვილების. აქ ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ ამ ერთ-ერთი კლასიკური გიმნაზიის 7 და 8 კლასის მოწაფეებს, რომელთა შემთხვევა მქონდა გამეცნო იგინი, გავიცან და მადლობა დმერთს მათს გაცნობით სიცოცხლე მომემატა.

დღევანდელ ქართველთ მაჰმადიანი შვილები ის ალარ არიან, რაც იგინი წინეთ იყვნენ, დღეს ამ მოწაფეებში გახლავან ისეთი გონიერი და სამაგალითოთ კულტურის მიმდევარნი, როგორიც არის უ უ ც ი ვ ა ძ ე და ხუსეინ ნაკაიძე, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ორი მოწაფის პირადი გაცნობა იყო ჩემთვის ისეთი მოვლენა, რომ თითქოს ქართველი მაჰმადიანები თავიანთ ვინაობის შეგნებით მკვდრეთით ალმდგარიყვნენ, მაინც დავასახელებ ამ მოწაფეთა გვარებსაც:

1, უსუფ ცივაძე, საუკეთესოდ მიმდევარი ევროპაელის კულტურის და ქართულის განათლების და თვითგამორკვევის.

2, ხუსეინ ნაკაიძე, ეს გახლავთ შვილის შვილი გელო ალა კაიკაციშვილისა და უნდა ითქვას, რომ რაც ეს მოხუცი გონიერი გელო ალა კაიკაციშვილი ბრძანდება, ის „მისი შვილის-შვილი არის.

3, ხასან ჯაფარიძე, 4, ილიას მეგრელიძე, 5, ხუსეინ შაქარაშვილი, 6, სულეიმან კაიკაციშვილი, 7, ხუსეინ სინიკაძე, 8, უსუფ აბაშიძე, 9, ისმაილ აბაშიძე, 10, შეგვეთ ლორთქიფანიძე და სხვანიც. ყველა ეს მოწაფენი არიან გიმნაზიის 7 და 8 კლასის მოწაფენი. ყველა ეს მოწაფენი მე გამაცნო უსუფ ცივაძემ და ამან დიდი იმედი გამოსთქვა თავის აზრი ნაგვის.

სთქვა უსუფ ცივაძემ, ყველა ჩემი ამხანაგები არიან კეთილის მოყვარენი ნათელის გზისა და დიადის კულტურულის განვითარების, იგინი არც ქართულს მწერლობას ივიწყებენ და ამის შესწავლასაც ჩინებულად მისდევენ, ყველა მათგანს მოგლის დიდი მომავალი და იგინი ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებაში დიდს ადგილს დაიკავებენ, მათ წადილი აქვთ, რომ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ევროპაში წავიდნენ და იქაც მიიღონ განათლება.

ჰუსეინ ნაკაიძემ მიამბო შემდეგი: ჩვენ ქართველ მაჰმადიანთ მშობლებთან ოჯახები და მათი შვილები, ამ დუხჭირ ცხოვრების პირობებმა ქართველი „შეაფერხა და დააქვეითა. ამ გარემოებამ ჩვენზედაც იმოქმედა და ჩვენც გაგვიჭირდა ცხოვრება და სწავლის განგრძობა.

ამიტომ ცოტა არ იყოს, ჩვენი ცხოვრების პირობები მეტად დიდ გასაჭირში ჩაგვარდებოდა, ამ შეუძლებლობის გამო, ბათომში ჩვენ ვითმენთ დიდ გაჭირვებას. ჩვენი ცხოვრების დღიური ნორმაც კი სასტიკათ არის დარღვეული, ჩვენს ოჯახებს კი სულ არ შეუძლიანთ ჩვენი რჩენა.

ჩვენ მივმართავთ ჩვენი აჭარისტანის მთავრობას და ვსთხოვთ დახმარება თუნდა იმდენის დღიურის დახმარებით, რასაც იგინი აძლევენ დღიურათ ახთიურათ. თითო ჯარისკაცს.

იმედოვნებენ ეს მოსწავლენი, რომ აჭარისტანის მთავრობა მათ ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და მათ მისცემ შეძლებას, რომ მათ შესძლონ სწავლის დამთავრება. იმედოვნებენ, რომ ამ დავალების საქართველოს საბჭოთა მთავრობაც არ იქნება წინააღმდეგი, იმედი თხოვნას დაუკმაყოფილებენ.

ზაქ. ჭეჭინაძე

მთავრობის მოკმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 17

საქართველოს სოც, საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საკანცელარიო ბაჟის გადიდების შესახებ.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ ამა 1922 წლ. იანვრის 3-ს თარიღითა და 87 №-ით გამოცემული დეკრეტის მე 2 განყოფილებითა და იმავე იანვრის 31-ს თარიღით და 134 №-ით გამოცემული დადგენილებით გათვალისწინებული საკანცელარიო ბაჟი გადიდებულ იქნეს:

ა) 3,000 მანეთიდან—10,000 მანეთამდე, ხოლო ბ) 1500 მანეთიდან—5,000 მანეთამდე,

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. აგვისტის 10.

ჩვენს ფოსტა

ამხ. ნინო უჯმაჯურიძეს, საჩქაროდ დაბრუნდით.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

ყველა დაწესებულებათა და მოქალაქეთა

საყურადღებოთ

კომუნალურ მეურნეობის საადგილ-მამულო განყოფილება უკვე შეუდგა ბოსტნებიდან და ბაღებიდან (მანთაშევის ყოფ. ბაღი ორთაჭალაში და სიხარულიძის ყოფ. ბაღი საბურთალოში) ჭინახულის გაყიდვას.

ჭინახულის ფასები შედარებით ბაზრის საბითუმო ფასებთან ხუთიდან 10 პროც. ნაკლებია (ცნობა სტატისტიკურ განყოფილების.

საადგილ-მამულო განყოფილებასთან ხელშეკრულებითი შეთანხმებაში შესულთათვის . . . . . გადახდის საავანსო სისტემა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება განყოფილებაში 10—4 საათამდის, ოთახი № 52.

საადგილ-მამულო განყოფილება. № 8.

3—1

რადგან შაბათს ქალაქის აღმასკომის ქვორუმი არ შესდგა, ამიტომ

აღმასკომის სხდომა გადადებულია

აგვისტოს 16-ს საღამოს 6 საათზე.

დღიური წესრიგი: 1. ქალაქის აღმასკომის მომავალი მუშაობის გეგმა.
2. დამტკიცება საავადგებულო დადგენილების საბურთალოზედ საქონლის საძოვრის აკრძალვის შესახებ.

ყველა წევრთა დასწრება საავალდებულოა.

მდივანი: ხუნდაძე.

გაანცხადება

ქალ. თბილისის აღმასკომის გადასახადთა ბიუროს ... ოთ. შაბათს 17 აგვისტოს, დღის 12 საათზე ... ლია საჯარო ვაჭრობა შემდეგ აბანოებზე:

1.	აბანო აბრამაშვილისა	ვერის დალმართი
2.	„ ანანოვის	ფრეიროვის და მალაკნის ქ.
3.	„ ედიგაროვის	ვარანცოვის ქ.
4.	„ კარაჯევის	ფრეიროვის ქ. № 5.
5.	„ ჩითახოვის	კახეთის ქ. № 5.
6.	„ ნორსია	19 თებერვლის ქ.
7.	„ მურსაგულოვისა	სუპსარქისის შეს.
8.	„ ფანტაზია	ვორონცოვის ქ.

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროში, მე-50 ოთახი საჯარო მაგიდის გამგესთან.

№ 7. 4—2

ქალ. თბილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ სამშაბათს 15 აგვისტოს, დღის 2 საათზე, აღმასკომის დარბაზში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შემდეგი სასტუმროებისა:

„პალასი“	მიმოსვლის ქ.	№ 4.
„ნიკოლოზას ნომრები	ნეკრასოვის „	„ 3.
„პოლო“	ნიკოლოზის „	„ 16.
„ბერლინი“	მიმოსვლის „	„
„ალექსანდროვის ნომრები“	სამხედრო „	„ 5.
„პალე-როიალი“	სასახლეს „	„ 6.
„დუშეთი“	19 თებერვ. „	„ 89
„თელავი“	ბახკალის „	„ 4.
„არარატი“	მალაკნის „	„ 14.
„ტბილისი“	ვორონცოვის „	„ 29.
„ოდესა“	ანდრეევის და სადგურის კუთხე	
„მცხეთა“	მცხეთის „	„ 2
„შემახა“	19 თებერვ. „	„ 54
„პარიზი“	თივის მოედანი „	5.
„ადერბეიჯანი“	ვორონცოვის „	24
„კარაბახი“	აბანოს „	„ 4
„ირანი“	ვორონცოვის „	„ 37
„ვარსკვლავი“	ვორონცოვის „	„ 37
„შირაზი“	ბნელი რიგი „	24

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროში მე-50 ოთახში საჯარო მაგიდის გამგე მიხ. დარახველიძესთან.

სახელმწიფო გამომცემლობა

თანახმად არსებულ დეკრეტისა ყოველგვარ საზოგადო გასართობებზე პროცენტების გადახდის შესახებ ქალაქის სასარგებლოდ, აღმასკომის გადასახადთა ბიურომ დადგინა ა. წ. 1 აგვისტოდან ყველა გასართობებს გადაახდევინოს ბილეთების ღირებულებაზე 5 პროც. გადასახადთა ბიუროს სასარგებლოდ.

სახელმწიფო გამომცემლობა თანახმად შეთანხმებისა აღმასკომის საფინანსო განყოფილებასთან (6, № 149) წინადადებას აძლევს ყველა კლუბებს, თეატრებს, კინოებს, ცირკებს, პარკებს და დაწესებულებებს, რომელნიც აწყობენ სპექტაკლებს, საღამოებს, კაბარეს და სხვა გასართობებს ბილეთების წიგნაკები წარმოადგინონ რეგისტრაციისათვის სახელმწიფო გამომცემლობაში ლორისმელიქოვის ქ. № 5. ბილეთებზე იქნება დასმული სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭედი ურომლისოდაც ბილეთები ჩაითვლება გაუქმებულად დ დადგენილების დამრღვევნი კი მიცემული იქნებიან სამართალში და დაკარგავენ უფლებას ზემოაღნიშნულ გასართობების გაწყობაზე. ყოველგვარ ცნობების და განმარტების მიღებისათვის უნდა მიმართონ სახელმწ. გამომცემლობის გამგეს. (ლორისმელიქოვის ქ. № 5).

5—5

ამონაწერი

ქალ. აღმასრულებელი კომიტეტის ვერის ბორანისათვის შემუშავებულ კონდიციიდან

11. ქალ. აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით კონდ... ძალით ვერის ბორანის მოიჯარადრე გამსვლელთ ახდევინებს 5.000 ნეთს გასვლა-გამოსვლაში.

12. მოიჯარადრე ვალდებულია გაანთავისუფლოს გადასახადისგ... მილიციონერი, წითელ არმიელებიდან კი მარტო ჯარის კაცები.

1) **შენიშვნა**: თუ გამსვლელი არ მოისურვებს უკან დაბრუნ... ერთი დღის განმავლობაში გამოსვლის ფული უბრუნდება და ის იხდის 5.000 მანეთს ერთ მგ... რობაზე.

2) **შენიშვნა**: დამის 10 საათიდან ქირის გადახდევინება დება შეთანხმებით, დილის 5 საათამდე.

6—5